პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ოქტომბერი, კვირა, 1987 წ.
№ 200 (9611) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დადგენილება ჩვენი ავტორიტეტია

რისთვის ვიღებთ დადგენილებებს? შესაძლოა, საკითხის ასე დასმა ვინმეს ახირებად მოეჩვენოს, მაგრამ, მოდით, მაინც დავფიქრდეთ და გულახდილად გავცეთ პასუხი დასმულ კითხვას. საერთო აზრი დაახლოებით ასეთი იქნება: ამა თუ იმ დადგენილებას მხოლოდ იმიტომ ვიღებთ, რომ წინ წავწიოთ საქმე, ცალკეული ორგანიზაციების, პიროვნებების და თუ საჭიროა მთელი საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ გადასაჭრელ პრობლემებს. როგორც წესი, დადგენილებებში შესრულების ვადებსაც და პასუხისმგებელ პირებსაც უთითებენ, უთითებენ მაგრამ...

ეინ იცის, რამდენი დადგენილება მიგვიღია მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით და ქაღალდს არ გაცილებია, რამდენი სურვილი გასაღებულა რეალობად, რამდენჯერ და რამდენ დადგენილებაში გამეორებულა ერთი და იგივე პრობლემა. ეოხდა კურიოზული სვმბავიც — ერთ-ერთ დადგენილებაში, რომელიც რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარებას ეხებოდა, ამ 25 წლის წინათ მიღებული დადგენილების პუნქტი აღმოჩნდა (?!).

ახლა საქმისადმი ამგვარ დამოკიდებულებას ვეღარ შევეგუებით. ფორმალიზმს საბოლოოდ უნდა მოვუჭრათ გზა თუ გვინდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში გარდაქმნა დავაჩქაროთ. სხვა გზა და სხვა გამოსავალი არ არის, რასაც ვიტყვით და რასაც დავადგენთ კანონი უნდა იყოს ყველასთვის და პირველ ყოვლისა მათთვის, ვისაც მისი შესრულება ევალება. დადგენილების ავტორიტეტი იგივე ჩვენი ავტორიტეტია, დადგენილების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, გამარჯვებაზე საპატიო და საამაყო კი რა უნდა იყოს საქმეზე თავდადებული ადამიანებისთვის.

ამიერიდან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად შეხვდებით წერილებს იმის შესახებ თუ როგორ სრულდება საქართველოს სპორტსახკომის თუ ცალკეული (სპორტული ორგანიზაციების, უწყებების მიერ ადრე მიღებული დადგენილებები (პირველ პუბლიკაციას „ლელოს" უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ). არ მოვერიდებით იმ ხელმძღვანელ მუშაკებზე მსჯელობასაც კი, რომლებმაც კონტროლი არ გაუწიეს, არ შეასრულეს დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები და დავალებები. ამავე დროს არც იმათ დავუკარგავთ ღვაწლს, ვინც პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს. დადგენილება ხომ, პირველ ყოვლისა, საქმეა.

ზედიზედ მეორედ

საქართველოს ღია ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში ყოველთვის საინტერესოდ ტარდება. უფრო იმიტომ, ალბათ, რომ ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სპორტსმენებიც მონაწილეობენ. ასე იყო ამჯერადაც. თბილისის სპორტის სასახლეში სამი დღის მანძილზე 12 ქალაქის 56 ტანმოვარჯიშე

იხ. მე-4 გვ.

სურათზე: თ. ნადირაშვილი.

გუშინ, შაბათობაზე!

გუშინ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა კომუნისტური შაბათობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა. რესპუბლიკის მშრომელებმა, რომელთა შორის ბევრი ფიზკულტურელი და სპორტსმენი იყო, შაბათობაზე გამომუშავებული თანხა XII ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს.

შაბათობაზე ენერგიულად იშრომეს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სპორტული საქონლის საწარმოებმა, ბევრგან კი ზამთრის სეზონისათვის სპორტული ბაზები მოაწესრიგეს.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

1987 წლის უმთავრესი და მეტი წილი სპორტული კანონმდებლობა ... ჩატარდა. ახლა, როგორც იტყვიან, წლის მონაკვეთის მეოთხის პერიოდი დგება. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ... მეორე ნახევარში ჩაატარებს ტრადიციულ გამოკითხვას, რათა მკითხველებთან ერთად გამოავლინოს წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი და მწვრთნელი. „ლელოს" ფურცლებზე, ისევე როგორც წინა წლებში, ამჟამადაც წარმოგიდგენთ კანდიდატებს. ვფიქრობ, ეს კარგ სამსახურს გაგიწევს წლის ლაურეატთა გამოვლენაში, ერთხელ კიდევ შეგვახსენებს მათ წარმატებებს. მკითხველო, თქვენც მოგვაწოდეთ კანდიდატები.

დღეს სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში გამარჯვებულ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდზე გესაუბრებით.

მომავლის გუნდი

იხ, რომ ფეხბურთი ჩვენში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს, ყველასათვის ცნობილია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ფეხბურთელთა ყოველი გამოსვლა საყოველთაო ინტერესს იწვევს, მათი ყოველი წარმატება კი შეუდარებელ სიხარულს გვგვრის. უკანასკნელ ხანს ასეთი სიხარული მოგვანიჭა სპორტკოლეგიების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მონაწილე გუნდმა, რომელმაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნიკოლოზ ...ლოვან ამ გამარჯვებას მე მწვრთნელთა დიდი ჯგუფის, მთელი ჭაბუკთა ფეხბურთის მიღწევად ვთვლი, მადლობას მოკახსენებ იმ მწვრთნელებს, ... რომლებმაც აღზარდეს დღევანდელი ნაკრების ფეხბურთელები. ასეთი სასიხარულო გამარჯვების შემდეგ თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი: თუ რაიმე წარმატებას მივაღწევ, პირველ ყოვლისა, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გრიგოლ გაგუას, ეუმადლი, ადამიანს, რომელსაც ჩემს მასწავლებლად ვთვლ... და რომელმაც ფეხბურთის, მე ვიტყოდი, ფანატიკური სიყვარული შთამინერგა. აქვე მინდა მოვიხსენიო ღვაწლმოსილი მწვრთნელები, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ომარ უშვერიძე, ავთანდილ ვარდიაშვილი, თენგიზ კუბლაშვილი. სხვადასხვა დროს მომიხდა მათს გვერდით მუშაობა და თითოეული მ... თგანისგან ბევრი ... ლი შეიძინე.

იხ. მე-3 გვ.

დიდი საცხენოსნო დღესასწაული თბილისის იპოდრომზე





შემოდგომის წარმტაცი ფერებით გალამაზებული თბილისის იპოდრომი გუშინ კიდევ უფრო მიზიდველად გამოიყურებოდა. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ცხენსაშენების 30-ე საიუბილეო საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს ეძღვნება. დღესასწაულის პროგრამით გუშინვე გაიმართა შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. ასპარეზობაში 14 გუნდი მონაწილეობს.

დღეს შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.



70

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲬᲔᲓᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

1. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

(1921 — 1941 წწ.)

ᲓᲘᲓᲘ ტრადიცია, საუკუნეების მახძილზე შემუშავებული სპორტული კულტურა! — აი, რა მივიღეთ მემკვიდრეობად ძველი, რევოლუციამდელი საქართველოდან. 1921 წლისათვის, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, უკვე ახალი ხილი აღარ იყო სპორტის ისეთი კლასიკური სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, კრივი, კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი და სხვანი, ასე გასინჯეთ — გორგოლაჭებიანი ცეკვურებიც კი.

იყო კიდევ ერთი შესანიშნავი ტრადიცია, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა საქართველოში სპორტის აღმავლობა პირველ წლებში. ეს ტრადიცია თავის დროზე შექმნეს და რევოლუციურ საქართველოში გადმოიტანეს ტანსვარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ ვარჯიშთავებმა (მწვრთნელებმა) და მათს ხელში დაჭეოლონებულმა შეგირდებმა. იშვიათია სპორტული საზოგადოება, რომლის პოლიტიკური მრწამსის დადგენას ამდენი დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოეწვიოს. ერთი კი ცხადზე უცხადესია: „შევარდენის“ მორალურ კლიმატს, პირველ რიგში, განსაზღვრავდნენ მისი ლიდერები—გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი მერკვილაძე, არჩილ ბაქრაძე, სოსო ასლანიშვილი, დათა ჯავრიშვილი, გაიოზ ბერელაშვილი და სხვები— თხემით ტერფამდე ეს უპატიოსნესი მამულიშვილები, ადამიანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უყოყმანოდ ჩადგნენ ახალი დროის მკვიდრთა ფიზიკური აღზრდის სამსახურში და ფაქტიურად საკუთარი მხრებით ზიდეს 20-იანი წლების საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მთელი სიმძიმე.

ახალგაზრდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის პირველი და გადაუდებელი საზრუნავი იყო: მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, მასობრიობის ზრდა და კადრების მომზადების სისტემის შექმნა. იმაზე, თუ მემკვიდრეობად როგორი ბაზები გადმოგვცა ძველმა ეპოქამ, საკმარისია გავიხსენოთ ქუთაისელი ტანმოვარჯიშეების ერთი წერილობითი თხოვნა მენშევიკური მთავრობისადმი, რომ აღმოეჩინათ მათთვის დახმარება და აემაღლებინათ დარბაზის ჭერი. წერდნენ: ღერძზე მთელი რიგი ვარჯიშების (მაგალითად, აღმტრიალის) შესრულება შეუძლებელი ხდება — ფეხები ხვდება ჭერსო. სპორტული ინვენტარით სპორტსმენთა უზრუნველყოფაზე კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერთი დოკუმენტი—ხელწერილი, რომელსაც ველოსიპედისტი ნესტეროვი აწერს ხელს: „მე, — ეკითხულობთ დოკუმენტში, — ქვემორე ხელის მომწერი, თბილისის მოტოველო საზოგადოების წევრი ნიკოლოზ ნესტეროვი საზოგადოებას ვაძლევ პირობას, რომ ჩემზე გაპიროვნებული „ბასტიდას“ მარკის № 2958 ველოსიპედი, ფასით 225 მანეთი, არა მაქვს უფლება გავყიდო, დავგირავო, ან გადავცე ვინმეს საზოგადოების მმართველობის სანქციის გარეშე. ვალდებულებას ვიღებ ვიქონიო ველოსიპედი სრულ წესრიგში, მოვუაროთ კარგად, მოვექცე ფრთხილად, ვიყო წესიერი, დისციპლინირებული, არ გავაცდინო მეცადინეობები არასაპატიო მიზეზით. ჩემი წასვლის ან საზოგადოებიდან გაგდების, სხვა ქალაქში გადასვლის, ანდა ზემოხსენებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებული ვარ გადავცე ეს ველოსიპედი ვისაც ჯერ არს და გადავიხადო ამორტიზაციის ხარჯები თანახმად საზოგადოების კომისიის შეფასებისა. 1929 წლის 3 აგვისტო“. ადვილად მისახვედრია, ველოსიპედისტთა „კარგი ცხოვრებით“ არ იყო შექმნილი ეს დოკუმენტი.

თანდათან მტკიცდებოდა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მატერიალური ბაზა, მასობრიობა კი, სპორტულ წარმატებათა ეს მტკიცე საფუძველი, განვითარების შემდეგ სურათს იძლევა. მე თამამად ვაწოდებ მკითხველს ამ ციფრებს, რადგანაც მაშინ მასობრივი ფიზკულტურისათვის უცხო იყო დღეს „მიწერებად“ და „წამატებებად“ ცნობილი რეციდივები. ციფრობრივი მონაცემები ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არსებულ სინამდვილეს.

წელი	ფკ კოლექტივების რაოდენობა	ფიზკულტურელთა რაოდენობა
1924	96	4228
1927	200	7554
1928	296	14438
1934	657	30749
1935	1266	71044
1938	1899	160000
1940	2465	187000

სპორტის მასობრიობის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად იქცა 1931-34 წლებში მშთ კომპლექსის შემოღება.

თანდათან მოწესრიგდა კადრების მომზადების სისტემაც. პირველ ხანებში ფიზკულტურის პედაგოგებისა და მწვრთნელების აქმიანობა ყოფილმა „შევარდნელებმა“ და „ვსევობუჩის“ წარმომადგენლებმა იკისრეს, შემდეგ — 1930 წელს, თბილისში პედაგოგიურ ტექნიკუმთან იხსნება ფიზკულტურის განყოფილება, 1933 წელს — ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი, 1935 წელს — ფიზკულტურის ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1938 წლიდან — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს კადრების მომზადებას ხელი წაუშველეს გორის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებულმა ფიზკულტურის ფაკულტეტებმა.

აღნიშნულ პერიოდში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ყოველთვის გრძნობდა პარტიის ყურადღებასა და თანადგომას, რაც პირველ რიგში გამოიხატა 1925 და 1929 წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სპეციალური დადგენილების მიღებაში, რამაც თავის დროზე გარდამტეხი როლი ითამაშა.

საქართველოს ახალგაზრდა სპორტული მოძრაობის პირველ სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა სსრ კავშირის ხალხთა 1928 წლის სპარტაკიადა. მას წინ უსწრებდა (1928 წ. აპრილ-მაისში) ამიერკავკასიის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა: ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, სროლა, ცურვა, ველოსპორტი, ჭიდაობა, თოკის გადაძლევა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ხელბურთი და ქალაქობანა (ჩასათვლელი ქულების გარეშე). საქართველოს სპორტული დელეგაცია პირველ ადგილზე აღმოჩნდა, მეორე იყო აზერბაიჯანის, მესამე კი სომხეთის დელეგაცია. საკავშირო სპარტაკიადაში ამიერკავკასიის კოლექტივებიდან თავი ისახელეს ქართველმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც მოუგეს ბელორუს სპორტსმენებს (11:0), უკრაინელებს (6:5) და II სპრინტზო ადგილი დაისაკუთრეს. კალათბურთელთა გუნდში ძირითადად თბილისის „სინათლის“ წარმომადგენლები შეეიდნენ. ვაჟებმა მოუგეს საფრანგეთის გუნდს (34:8), ნახევარფინალში წააგეს უკრაინელ სპორტსმენებთან (12:17), ქალებმა მოუგეს ფრანგებს (15:2) და წააგეს უკრაინასთან (23:5). ამიერკავკასიის დელეგაცია საერთო მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე პირველად თავიანთი სიტყვა თქვეს საქართველოს **მძლეოსნური** სპორტის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა გვარდიის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

ჯერ კიდევ 1924 წელს ჩვენმა მძლეოსნებმა 7 სახეობაში მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულები. ვლადიმერ დიაჩკოვს ტოლი არ ჰყავდა თარჯრბენში 110 მეტრზე (შედეგი — 17,4 წამი), მანვე სიმაღლეზე ხტომაში აიღო 165 სანტიმეტრი, რაც ასევე საკმარისი გახდა ჩემპიონის კვარცხლბეკზე ასასვლელად, ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში კი უჩვენა 3 მეტრი და 37 სმ და ქვეყნის პირველი მხტომელის სახელიც დაიმკვიდრა; იმავე წელს იმარჯვა მისმა ძმამ ბორისმა, რომელმაც სამხტომში დაძლია 12.14 მეტრი, რაც მაშინდელ მიღწევათა შორის ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნის სახელი დაისაკუთრა ივანე სერგეევმა. მან სამ სახეობაში მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება: ბადროს ტყორცნაში (40,65 მ), ათჭიდში (51,22 ქულა) და ხუთჭიდში (2547 ქულა). (მაშინ ხუთჭიდში შედიოდა: სიგრძეზე ხტომა, რბენა 200 და 1500 მეტრზე, შუბისა და ბადროს ტყორცნა). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ კომპლექსურ სპორტში ჯერ კიდევ 1923 წელს ქვეყნის მეორე შედეგი აჩვენა შესანიშნავმა ქართველმა მძლეოსანმა დიმიტრი (მიტრო) მიქაბერიძემ. გამარჯვებათა წყება დაადგინრგვინეს — ჰერტრუდა მაიერმა (9 მეტრი და 71 სმ, ბირთვის კვრა, 1931 წ.) და გიორგი შხვაცაბაიამ (183 სმ. სიმაღლეზე ხტომა, საკავშირო რეკორდი, 1929 წ.). გამოჩნდნენ სპორტსმენები, რომლებმაც მსოფლიო რეკორდებიც დაამყარეს. ესენი იყვნენ დიმიტრი იოსელიანი (ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, 3,34 მ., 1936 წ.) და ნინო დუმბაძე. საქართველოს სპორტის მუზეუმში ინახება ჩვენი შესანიშნავი მძლეოსანი ქალის ერთი ჯილდო — დიპლომი, რომელიც მან 1935 წელს ოდესის მოსწავლეთა I სპარტაკიადაზე მიიღო. დიპლომი მოგვითხრობს ნ. დუმბაძის პირველ სპორტულ ნაბიჯებზე. დიპლომში ვკითხულობთ: „ოდესის ფიზიკური კულტურის საქალაქო საბჭო აჯილდოებს 35-ე სკოლის მოსწავლეს — ნ. დუმბაძეს, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი 7 სახეობაში და მეორე — ორ სახეობაში.

1. ცურვა (ხელუუმბარით) 25 მეტრზე, 1,06,8 წ.
2. ველორბოლა 500 მეტრზე, 1,04,2 წ.
3. ველორბოლა 100 მეტრზე, 12.0 წ.
4. რბენა 100 მეტრზე, 13,8 წ.
5. რბენა 500 მეტრზე, 1,42,0 წ.
6. ხტომა სიგრძეზე, 4.00 მ.
7. ხელუუმბარის ტყორცნა, 25,0 მ.
8. ცურვა 50 მეტრზე (II ადგ.), 51,0 მ.
9. ხტომა სიმაღლეზე (II ადგ.) 1,20 მ.

ფეხბურთში პირველი საერთაშორისო ოფიციალური შეხვედრა მოეწყო 1925 წელს, როდესაც თურქეთის ქალაქ ტრაპიზონს ეწვია ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გუნდი, პირველი მატჩი მან მოიგო (7:1), მეორე კი წააგო (1:2). 1925 წელს კი ყალიბდება „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც 1936 წლიდან წარმატებით გამოდის ქვეყნის პირველობაზე.

კალათბურთი საქართველოში სათავეს იღებს 1923 წლიდან. 1927 წელს საქართველოს პირველ ჩემპიონატში თავი ისახელა „სინათლის“ გუნდმა, რომელშიც იმხანად შედიოდნენ: შ. ჭელიძე, გ. საყვარელიძე, მ. ცხვედაძე, ბ. გერასიმოვი და ა. დავიდოვი.

კრივში პირველი მატჩი ჩატარდა 1929 წელს პ. მარდანიძის თაოსნობით. იმ პერიოდში მარდანიძესთან ერთად კრივის დანერგვა-განვითარებას დიდად უწყობდნენ ხელს გ. ბერიძე, ა. კრონე, მ. ბაროვსკი, მ. რეისი, ი. სერგეევი, ა. კაჯარი, გ. კასპარიანი, კ. მეტალნა, ომისწინა წლებში კი მათ საქმეს აგრძელებდნენ მ. ჯანაშია, ჰ. ისრაელიანი, მ. კოდუა, ა. ცაგარელი, თ. ფურცელაძე, გ. ვართანოვი, ა. ნავსარდოვი, ლ. ლუდუშაური, ზ. კანდელაკი, ბ. კვინიხიძე და სხვანი.

ჩოგბურთში პირველ ხანებში ტოლი არ ჰყავდა იან გომერს (მან თბილისის პირველობა მოიპოვა 9-ჯერ), შემდეგ გამოჩნდნენ ძმები რომან და ედუარდ ნეგრებეცკები, ძმები ბორის და ვლადიმერ სერებრენიკოვები, არჩილ მდივანი, ქალთა შორის თამარ გალბოლუა. მწვრთნელთა შორის წარუშლელი კვალი დატოვა არამ ხანგულიანმა. ამ უაღრესად პატიოსანმა და ფაქიზი ტაქტის კაცმა აღზარდა მთელი თაობები, რომელთა წარმატებები ბოლოს ბრწყინვალედ დააგვირგვინა ალ. მეტრეველმა.

საწყლოსნო სახეები ჩვენში საუკუნის დასაწყისიდან ვითარდებოდა, განსაკუთრებით შავიზღვისპირა ქალაქებში; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით განვითარდა 1928 წლიდან, როცა თბილისში აიგო 50 მეტრიანი აუზი, რომელიც ომამდე ფაქტიურად დედაქალაქის ერთადერთი საცურაო ცენტრს წარმოადგენდა. წყალბურთი კი 1925 წლიდან იკიდებს ფეხს, რომელსაც სათავეში უდგება ლუკა იოაკიმიდი. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ პირველ წყალბურთელთა შორის იყო მიხეილ თიკანაძე, რომელიც შემდგომში წარმატებით ზრდიდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს.

ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები თავიდანვე ტრიუმფით დაიწყო: 1932-34 წლებში, სამჯერ ზედიზედ საქართველოს ნაკრები ხდება ქვეყნის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. 1934 წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ მსაჯთა კოლეგიამ „ქართველი ოთხეულო“ გიორგი რცხილაძე, პავლე რომანიშვილი, ვლადიმერ დიაჩკოვი და გიორგი ბაბილოძე შეჯიბრების მონაწილეებს ჩამოაცილა და ცალკე შეაჯიბრა ერთმანეთს. „ეს როგორ, — ხმამაღლა განაცხადა მაშინ მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენელმა ლუნევსკმ, — რა თანასწორობა იქნება, თუ გნოლებსა და მტრედებში ჭაკაკასიურ არწივებს გავურევთო!“ ამ შესანიშნავი ოთხეულის გარეშეც საქართველოს გუნდმა არავის დაუთმო პირველი ადგილი.

ქართველმა მთამსვლელებმა სპორტული სამყარო აალაპარაკეს ჯერ კიდევ 1923 წელს, როდესაც ჯერ გიორგი ნიკოლაძის, რამდენიმე დღის შემდეგ კი ალექსანდრე დიდებულიძის წინამძღოლობით მასობრივად დაიპყრეს მყინვარწვერი. ეს დღე (1923 წლის 28 აგვისტო) სამართლიანად ითვლება საბჭოთა მასობრივი მთამსვლელობის დაბადების დღედ. ომის წინ ამ ვაჟკაცურ სახეობაში მთელი ეპოქა შექმნეს აგრეთვე ალიოშა, ალექსანდრა და სიმონ ჯაფარიძეებმა, პიმენ დვალმა, იაგორ კაბალიკაშვილმა და სხვ.

ასევე ომის წინა პერიოდის სპორტის ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს ჩვენმა აკრობატებმა, მესტენდურეებმა, ძალოსნებმა, ველოსიპედისტებმა, მოჭიდავეებმა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებმა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1936 წელს საბჭოთა საქართველოს მე-15 წლისთავზე, 3 ქართველი სპორტსმენი — გიორგი რცხილაძე, ელენე გოკელი და დიმიტრი იოსელიანი დაჯილდოვნენ სიპატიო ნიშნის ორდენებით.

ომის წინა წლებში საქართველოში შეიქმნა ის მტკიცე ბალავერი, რომელიც სპორტის შემდგომი განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნიდა. მაგრამ სპორტული კულტურის ეს აღმასვლა დროებით სამამულო ომმა შეაფერხა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲪᲘᲑᲐᲫᲔ.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲠᲐᲡ ᲕᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲗ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲗᲣ ᲛᲣᲨᲢᲘ-ᲙᲠᲘᲙᲡ?“

„ლელოს“ 4 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი იმ უსიამოვნო ინციდენტზე, რომელიც სპორტკლუბ „შევარდენის“ სტადიონზე მოხდა II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების მატჩში თბილისის „შევარდენი“-სპი-სა და ყაზახის „გოიაზანის“ ფეხბურთელთა შორის.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე განიხილა აღნიშნული წერილი და დაადგინა:

სტადიონის დირექტორს და „შევარდენი“-სპი-ს გუნდის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, სკკპ წევრს ნ. ბუსკაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, „შევარდენის“ სპორტკლუბის ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა განიხილოს გუნდის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე მისი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

მკაცრად მიეთითა გუნდის უფროს მწვრთნელს ე. ხუციშვილს კოლექტივში სუსტი აღმზრდელობითი მუშაობისთვის.

ინციდენტში მონაწილეობისთვის გუნდიდან გაირიცხა ფეხბურთელი წიქარაშვილი. „შევარდენი“-სპი-ს ვეტერანებს გ. ჯოხაძეს, ვ. უვანიას, გ. ხურცილავას და ნ. კოპალეიშვილს მიეთითათ, რომ ისინი თავიანთი მაგალითით ხელს უნდა უწყობდნენ ახალგაზრდა კომუნისტების მორალურ აღზრდას.

გაერთიანების პროფკავშირულ კომიტეტს და კომკავშირის კომიტეტს დაევალათ მეტი ყურადღება დაუთმონ სტადიონზე სპორტულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებას. პარტიული კომიტეტის დადგენილება კონტროლზეა აყვანილი.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ნარკოლოგიის საკითხები“ — ასე ჰქვია ახალ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს, რომელიც ახალი წლიდან საბჭოთა პრესის დიდ ოჯახს შეემატება. ჟურნალი წელიწადში გამოვა ოთხჯერ. ხელმოწერა შეუზღუდავია. ინდექსი 70208. ფასი ერთი წლით 2 მანეთი და 80 კაპიკი.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

მოსკოვი — მინერალური წყლები — თბილისი — ბაკო — კასპიის ზღვა — ირანი — ამ საავიაციო ხაზზე სამი წლის შემდეგ კვლავ განახლდა საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და ირანს შორის. აეროფლოტის თვითმფრინავმა ტუ-154-მა ამ მარშრუტით 15 ოქტომბრის პირველი რეისი მოსკოვიდან შეასრულა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინ ლანჩხუთში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩი. ლანჩხუთის „გურიამ“ ზარკოვის „მეტალისტს“ უმასპინძლა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0. ლ. ბურიაკის მიერ 11-მეტრიანით გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

ლანჩხუთელთა შემადგენლობა: ქანთარია, მიქაბერიძე (დანელია), რომანჩუკი, ე. თევზაძე, ვარნავსკი, ხლუსი, ცომაია, ტყეებუჩავა, ჩხაიძე (ბონდარუკი), ცაავა, აკოფიანი.

სხვა მატჩები:

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:1, „უალგირისი“ (ვილნიუსი) — ცსკა 3:0.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	27	15	10	2	14-22	40
„დნეპრი“	27	14	7	6	38-19	35
„უალგირისი“	27	13	7	7	37-26	33
„ტორპედო“	27	10	11	6	28-24	30
„დინ.“ მნ.	27	11	7	9	30-23	29
„შახტიორი“	27	10	8	9	27-27	28
„არარატი“	27	12	3	12	28-39	27
„დინ“ კ.	26	8	10	8	29-21	26
„შეტალის.“	27	9	7	11	21-27	25
„ქაირათი“	27	9	6	12	24-34	24
„დინ“. მ.	27	7	11	9	24-25	24
„ნეფჩი“	27	7	9	11	27-28	23
„დინ“. თბ.	26	8	6	12	25-33	22
„ზენიტი“	27	7	8	12	23-24	22
ცსკა	27	6	10	11	23-33	22
„გურია“	27	5	8	14	17-32	18

„დინამო“ მეტოქის თვალით

— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს საკმარისი პოტენციალი აქვთ და მათთან მომავალ მატჩში ჩემს აღსაზრდელებს ბევრი სიძნელე ელით. — ასე მიაჩნია ბუქარესტის „ვიქტორიის“ უფროს მწვრთნელს დიმიტრუ ნიკოლაე-ნიკუშორს. თავისი აზრი რუმინელმა სპეციალისტმა საქინფორმის კორესპონდენტს გაუზიარა სსრ კავშირის ჩემპიონატზე გამართული თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ. იგი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, რათა ენახა უეფა-ს თასის გათამაშებაში თავისი გუნდის მომავალი მეტოქის თამაში.

— თბილისელთა შესახებ საკმაო ინფორმაცია გვაქვს, — თქვა „ვიქტორიის“ მწვრთნელმა. — გვაქვს სოფიის „ლოკომოტივთან“ მათი შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო დინამოელთა თამაში განმეორებით მატჩში საკუთარ მოედანზე, როცა მათ შეძლეს ძალზე რთული პრობლემის გადაჭრა და ასპარეზობის მომდევნო წრეში გასვლა.

როგორც ბ. ნიკოლაე-ნიკუშორს მიაჩნია, ტორპედოელებთან მატჩის მეორე ტაიმში თბილისელებმა გამოავლინეს ისევ ის თვისებები, რომლებმაც გამარჯვება მოუტანეს მათ „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში.

— იმყოფებოდნენ რა წაგების ზღვარზე, მასპინძლები ათამაშდნენ ენერგიულად, დიდი თავდადებით, — თქვა მან. — მათ თამაშში ჭარბობდა კოლექტიური აზრი. „დინამოს“ შემადგენლობაში საკმარისად არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებმაც თითქოსდა უიმედო სიტუაციაში შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. განსაკუთრებით მომეწონა მცველი კეტაშვილი, რომელიც ჩინებულად ეყენებს მოიერიშე მცველის თვისებებსაც. ჩივაძეს რეკომენდაცია არ სჭირდება — გამოცდილმა კაპიტანმა თავისი აქტიური მანევრებით შეძლო საბრძოლველად განეწყო პარტნიორები. უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის აღმოჩენა იყო მოედანზე ახალგაზრდა ფეხბურთელების ქეცბაიასა და ფანკულაიას გამოჩენა. და არა მარტო ამიტომ, რომ მათ თითო ბურთი გაიტანეს და გუნდი დამარცხებას გადაარჩინეს. ორივე ფორვარდმა სიმწვავე შემატა მასპინძელთა თამაშს, რაც ასე აკლდათ მათ პირველ ტაიმში.

ჩვენი საუბარი შეეხო „დინამო“ — „ტორპედოს“ მატჩის მსჯობასაც. როგორც სტუმარს მიაჩნია, იგი სათანადო დონეზე არ იდგა და წაახდინა საკმაოდ დრამატული ორთაბრძოლის საკრთო შთაბეჭდილება.

— მსჯავრი ვერ შეძლო დროულად აღეკვეთა უხეში თამაში, რომლის წამომწყები ტორპედოელები იყვნენ.

— ბიოლოგიურ ერთეულ ... ...

ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘᲡ
ᲨᲐᲮᲜᲘ ᲨᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ
ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

Ა. ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — Გ. ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ

ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 ᲛᲤ6 2. c4 g6 3. ᲙᲒ3 c6 4. ᲙᲒ2 d5 5. cd cd 6. ᲛᲤ3 ᲙᲒ7 7. ᲓC3 0—0 8. ᲓE5 e6 9. 0—0 ᲛFd7 10. f4 ᲓC6 11. ᲙE3 ᲛB6 12. ᲙF2 ᲓE7 13. a4 a5 14. ᲚB3 ᲙD7 15. ᲙFC1 ᲙC6 16. ᲛB5 ᲛBC8 17. e3 ᲛD6 18. ᲛD:d6 Ლ:d6 19. ᲙE1 ᲙFB8 20. ᲙF1 f6 21. ᲛF3 Ლd7 22. Ლc2 ᲛF5 23. ᲙD2 ᲛD6 24. b3 ᲙC8 25. Ლd1 h6 26. ᲙE1 g5 27. ᲙA2 Ლe8 28. ᲙAC2 ᲙF8 29. ᲙD3 g4. ᲧᲐᲜᲘᲛ.

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ 2:1 ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲗ 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲔᲣᲠᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐᲨᲘ.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲔᲮ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲐᲛ ᲯᲓᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲕᲠᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲒᲐ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲢᲠᲣᲓᲘ“ — 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲤᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲗᲘ“. ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲒᲝᲛᲔᲚᲡᲙᲘ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲒᲝᲛᲔᲚᲡᲙᲘ.

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲡᲘᲩᲘᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲞᲘᲠᲘ, ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲙᲠᲘᲚᲘᲢᲡᲙᲘᲗ“. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲛᲠᲑᲝᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲩᲔᲡᲙᲐ ᲛᲝᲖᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲩᲝᲠᲜᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ“. ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ „ᲛᲘᲚᲣᲙᲘ ᲑᲐᲭᲡᲖᲔ“.

14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ“ ᲓᲐ „ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ“. ᲙᲚᲐᲕ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ, ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ „ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘ: ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ“, ᲒᲐᲖᲗᲘ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ“.

16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ... ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ“. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ? ᲔᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲨᲔᲜᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲣᲪᲜᲝᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ᲔᲐᲚᲔᲠᲘ ᲖᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ“. ᲔᲡ ᲬᲘᲗᲠᲘᲚᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲣᲒᲠᲘᲛᲝᲓ“.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲛ ᲨᲔᲯᲐᲛᲐ 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ, 41-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 6 45“-ᲓᲐᲜ: ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ 1.302.668 ᲑᲐᲠᲐᲗᲘ.

6 ᲪᲘᲤᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲯᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 10.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ. 5 ᲪᲘᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (38 ᲑᲐᲠᲐᲗᲘ) ᲛᲝᲒᲔᲑᲐ 1.082 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ, ᲝᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ (2031) — 28, ᲡᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ (29.128) — 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 5 36“-ᲓᲐᲜ: ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ: 11.950.723 ᲑᲐᲠᲐᲗᲘ.

5 ᲪᲘᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (23 ᲑᲐᲠᲐᲗᲘ) ᲛᲝᲒᲔᲑᲐ 10.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ. ᲝᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ (4576) — 123, ᲡᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ (142.630) — 7.

41-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 26 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲦᲘᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲔᲪᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ. ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ, ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ, ᲡᲢᲐᲕᲠᲝ�პᲝᲚᲘᲡ, ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ, ᲕᲝᲚᲒᲝ�გᲠᲐᲓᲘᲡ, ᲒᲝᲠᲙᲘᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲬᲘᲔᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲣᲧᲕᲐᲜᲘ ᲢᲐᲜᲨᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ 13. a4 ᲡᲕᲚᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲛᲘᲢᲔᲚᲨᲞᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲡ d6 ᲣᲯᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲣᲯᲕᲐᲜᲘᲗ ᲛᲣᲐᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲮᲝᲚᲝ 26... g5 ᲡᲕᲚᲘᲗ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲓᲐ. 29-Ე ᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲝᲥᲕᲔᲜᲘ ᲧᲐᲘᲛᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲑᲐᲭᲝᲣᲐ ᲓᲐ ᲚᲕᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲣᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ.

ᲑᲐᲭᲝᲣ. ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲡ ᲐᲥ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ: ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ, ᲪᲡᲙ ᲕᲛᲤ, ᲑᲐᲥᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲣᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡ“ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲗᲐᲜᲐᲙᲚᲣᲑᲔᲚᲗᲐ ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ �გᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ (3:0), „ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲛᲐ“ ᲙᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ (4:1). ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲤᲠᲩ — 6:6 ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ“ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ — 12:7 (2:1, 3:2, 4:1, 3:3), ᲮᲝᲚᲝ ᲚᲕᲝᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ“ — ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲚᲘᲘᲡ (ᲡᲕᲔᲡᲢᲝᲞᲝᲚᲘ) ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ — 10:6 (3:3, 2:2, 4:1, 1:0).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲐᲭᲝᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (მ.)	17	15	2	0	193-125	32
ცსკ ᲕᲛᲤ	17	11	2	4	157-128	24
„დინ.“ (თ.)	17	9	2	6	135-128	20
ᲙᲒᲤ (ᲑᲐᲭᲝ)	17	7	0	10	145-162	14
„დინ.“ (Ქ.)	17	2	4	11	139-164	8
„ᲑᲐᲚ.“ (Ლ.)	17	1	2	14	117-175	4

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

„დ.“ (Ა-თა)	17	12	2	3	163-135	26
„უნ.“ (მ.)	17	11	3	3	160-119	25
„დ.“ (ᲚᲕ.)	17	10	4	3	176-155	24
„ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲐ“	17	5	3	9	124-139	13
„ᲚᲝᲙ.“ (Ბ.)	17	2	4	11	115-150	8
ᲙᲩᲤ (ᲮᲕᲠ.)	17	2	2	13	104-148	6

ᲚᲕᲝᲕᲘ. ᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲝᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲓᲐ. 56.1 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠᲔᲕᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲘᲜᲯᲝᲡ ᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲘᲜᲒᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ ᲘᲧᲝ.

ᲡᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲒᲝᲒᲝᲩᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲐᲛᲔᲢᲛᲐ ᲢᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲛᲔ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ. ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲙᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚ ᲔᲚᲔᲜᲐ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲩᲣᲢᲔᲡ ᲰᲥᲜᲓᲐ. ᲘᲒᲘ. 55,25 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

„ᲡᲣ�პᲔᲠ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟ-ᲞᲔᲠᲜᲝᲡ“ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲝ ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲓ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝ�პᲐ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ, ᲓᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲓᲚᲔᲑᲓᲜᲔᲑ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲔᲑᲖᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲜᲓᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲜᲘᲪᲕᲚᲔᲑᲡ — ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲔᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲘᲓ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲒᲔᲑᲔᲜ.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲝ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲐᲓᲐᲒᲖᲔ „ᲡᲣ�პᲔᲠ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟ-ᲞᲔᲠᲜᲝᲡ“ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲰᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ) ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲨᲝᲜ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲐ. ᲘᲒᲘ ᲬᲚᲔᲣᲚᲡᲐᲪ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ 510 ᲥᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ II ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠᲒᲣᲜᲐ.

„ᲡᲣ�პᲔᲠ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟ-ᲞᲔᲠᲜᲝᲡ“ ᲡᲐᲣᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲛᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲠᲝᲨᲘ. ᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ: ᲯᲔᲠ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲤᲘᲚᲐᲗᲨᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲝᲩᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ. ᲛᲔᲠᲔ „ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡ“, „ᲯᲘᲠᲝ Დ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲣᲚ ᲑᲝᲚᲝᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐ (ᲨᲝᲜ ᲙᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ) ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲢᲣᲠᲨᲘ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲠᲝᲨᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ 765 ᲥᲣᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ (ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ �კᲔᲚᲘᲡ) 255 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲣᲡᲬᲠᲔᲑᲡ.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ — ᲛᲐᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲘ

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ. „ᲕᲘᲒᲝᲠᲔᲚᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲕᲔᲚᲝᲢᲠᲔᲯᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲛᲐ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲛᲐ ᲰᲐᲜᲡ-ᲰᲔᲜᲠᲘᲙ ᲝᲡᲢᲔᲓᲛᲐ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜ ᲠᲑᲝᲚᲝᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲪᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ